ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 275

"1" ოქტომბერი 2020 წ

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14 (ს/კ №01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - ,,დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების" 35-ე მუხლისა და ,,ქ. თბილისში, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14 (ს/კ №01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს „გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 30 სექტემბრის №20.1147.1429 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, შპს ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" (ს/ნ 204460957) და შპს ,,გეითვეი ჰოლდინგის" (ს/ნ 204531499) მიმართ, მისამართზე - ქ. თბილისი, პეტრე იბერის ქ. №6, კორპუსი 14 (ს/კ №01.10.06.001.115) არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებაზე:

ა) მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ-2) განისაზღვროს - 2.6-ით;

ბ) შეთანხმდეს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცეს მშენებლობის ნებართვა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის და შეცვლილი ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით, შემდეგი პირობით:

ბ.ა) მშენებლობის ნებართვის გაცემამდე განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირება;

გ) არქიტექტურული ვიზუალის და სართულის გეგმარების შეთანხმება განხორციელდეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით;

დ) განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის, ავტოსადგომების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების და რაოდენობის დათვლა/გაანგარიშება განხორციელდეს ,,ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს №8-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „წესების“ შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**